

შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი ნიკოლოზ გოგილიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ:

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი აღნიშვნა წარმოადგენს კომბინირებულ ნიშანს, რომელიც გარდა სიტყვიერი ელემენტებისა, შეიცავს გამოსახულებით ნაწილსაც: თეთრი ფერით შესრულებული წარწერა „Deodorant Cream ENJOY & JOY REMOVES SMELL OF SWEAT FROM ARMPIT, FEET, GROIN” მოთავსებულია ოვალური ფორმის ფიგურაში, ცისფერ და ლურჯ ფონზე, თეთრი და წითელი კონტურებით და შტრიხებით. დატანილი წარწერა ინგლისურიდან გადმოთარგმნისას უდერს შემდგენიარად: კრემი დეოდორანტ ინჯოი სპობს ოფლის სუნს იდლიდან, ფეხიდან, საზარდულიდან. გარდა ამისა, ნიშნის მარჯვენა ნაწილში დატანილია მუქი ლურჯი მართკუთხა რომბის გამოსახულება თეთრი და წითელი კონტურებით. მასში დახრილად მოთავსებულია სტილიზებული ირიბად წაჭრილი ლათინური ასო „E”, სიმბოლო & და ინგლისური სიტყვა Joy.

გარდა ამისა, სასაქონლო ნიშანზე მკრთალი ცისფერი ფერით პერპენდიკულარულად დატანილია ინგლისურ სიტყვათა შემდეგი კომბინაცია: „Enjoy & Joy”, რაც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის საფირმო დასახელებას.

რაც შეეხება ექსპერტიზის მიერ დაპირისპირებულ ნიშანს, იგი წარმოადგენს შავ-თეთრ კომბინირებულ ნიშანს, სადაც „ENJOY” მიჩნეული აღნიშვნა მოთავსებულია ნაცრისფერ მართკუთხედში, რომლის ზემოთაც შავი ფერის ოვალში თეთრი კონტურით მოცემულია წარწერა „Primeros”.

აპელანტის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ დაპირისპირებულ ნიშანში წარწერაში „Enjoy”, რასაც ექსპერტიზა მიიჩნევს დაპირისპირებული ნიშნის ძირითად ნაწილად, ასო „e” შესრულებულია 180 გრადუსით შებრუნებულად და წააგავს ასოს „o”, ხოლო ასო „N”-ის ზემოთ მოთავსებულია კვადრატული ფორმის წერტილი და ეს ორი ელემენტი შეიძლება ჩაითვალოს გამოსახულებით ელემენტად და მომხმარებელმა მთელი აღნიშვნა წაიკითხოს, როგორც „JOY”, მითუმეტეს, რომ იგი უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე მის წინ მოთავსებული ორი ელემენტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იგი მიიჩნევს, რომ მთელ ამ გამოსახულებას მომხმარებელი აღიქვამს, პირველ რიგში, როგორც სიტყვას „JOY”. შესაბამისად, აპელანტის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული ნიშნები ვიზუალურად განსხვავებულია, კერძოდ შესრულებულია სხვადასხვა ფერებში: ექსპერტიზის მიერ დასახელებული ძირითადი ნაწილი დაპირისპირებულ ნიშანში არ იკითხება. დატანილია დამატებითი წარწერები, რას გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

აპელანტის აზრით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები სრულიად განსხვავებულნი არიან ფონეტიკურად და სემანტიკურად – დაპირისპირებული ნიშნის მნიშვნელობაა „ისიამოვნე და სიხარული”, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის პირველ და ნიკოლოზ გოგილიძის აზრით, მთავარ სიტყვიერ ელემენტს „Primeros” არ გააჩნია სემანტიკური დატვირთვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნიკოლოზ გოგილიძე მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ითხოვს განცხადებული სასაქონლო ნიშნის „Deodorant Cream ENJOY & JOY REMOVES SMELL OF SWEAT FROM ARMPIT, FEET, GROIN” რეგისტრაციას განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარეთა არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1372/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი. ვიზუალური თვალსაზრისით მათ საკმაო განსხვავება გააჩნიათ. განცხადებული ნიშანი

კომბინირებული ნიშანია, რომელიც შესრულებულია ლურჯ, თეთრ და წითელ ფერებში და სიტყვიერი ელემენტების გარდა შეიცავს გამოსახულებით ელემენტს, სტილიზებულად შესრულებულ ოვალის გამოსახულებას, რომლის მარჯვენა ბოლოში მოთავსებულია ოთხკუთხედის გამოსახულება. აღნიშნულ ოვალზე მოთავსებულია ნიშნის სიტყვიერი ელემენტები „Deodorant Cream ENJOY REMOVES SMELL OF SWEAT FROM ARMPIT, FEET, GROIN”, ხოლო ოთხკუთხედში კი სიტყვა „& JOY” და სტილიზებულად შესრულებული ასო „E”. ნიშანი ასევე დამატებით შეიცავს ცისფერ ფერში შესრულებულ სიტყვებს „Enjoy & Joy”.

რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს იგი ასევე კომბინირებული ნიშანია და შესრულებულია ლათინური ანბანის შრიფტით. დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს შავ-თეთრ ნიშანს და მას სხვა დამატებითი ფერები არ გააჩნია. დაპირისპირებული ნიშანი შედგება ოთხკუთხედისაგან, რომელზეც მოთავსებულია ოვალური და წრის ფორმის ფიგურები. ნიშანი ასევე შედგება სიტყვიერი აღნიშვნებისაგან „Primeros” და „Enjoy”. სიტყვა „Enjoy”-ს პირველი ასო „e” სტილიზებულად არის შესრულებული, რაც აღნიშნულ სიტყვას ინდივიდუალურ სტილს ანიჭებს. ნიშანი ასევე შეიცავს „+”-ის გამოსახულებას, რომელიც აღნიშნულ წრეშია მოთავსებული, ხოლო სიტყვა „Primeros” მოთავსებულია ოვალში. ამდენად, სახეზეა ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური განსხვავება.

კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებულ ნიშანში წამყვანი სიტყვა, რომელზეც ნიშნის ვიზუალური დაკვირვებისას ძირითადი აქცენტი კეთდება არის „ENJOY”, მაშინ როდესაც დაპირისპირებულ ნიშანში ძირითადი დატვირთვა კეთდება სიტყვაზე „Primeros”, რაც კიდევ უფრო ამცირებს მათი აღრევის შესაძლებლობას.

ამასთან კოლეგია თვლის, რომ განცხადებულ ნიშანში არსებული სიტყვები „Deodorant Cream REMOVES SMELL OF SWEAT FROM ARMPIT, FEET, GROIN” განცხადებულ ნიშანში უნდა შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით, მათთვის დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსნი და მათ განსხვავებული საერთო შთაბეჭდილება გააჩნიათ. ამდენად კოლეგიის აზრით, მათი ერთ სასაკონლო ბაზარზე თანაარსებობა არ გამოიწვევს აღრევას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1372/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა ო ე კ ი ტ ა :

1. შპს „ინჯოი & ჯოი“-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1372/03 ბრძანება.
3. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Deodorant Cream ENJOY & JOY REMOVES SMELL OF SWEAT FROM ARMPIT, FEET, GROIN“ (საიდ. №66008/03) დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ. სიტყვიერ ელემენტებს „Deodorant Cream REMOVES SMELL OF SWEAT FROM ARMPIT, FEET, GROIN“ არ მიენიჭოთ დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და ისინი ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

დ. ჭიჭინაძე

თ. ჯაფარიძე

